სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N105

ქ. ხაშური

22 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეგლის გიორგი გურასპაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ამხანაგობა „განთიადი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი თავმჯდომარის ზოია გუროვის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, *საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 და 2017 წლის 12 აპრილის N733 განკარგულებებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის N128 განკარგულების*, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT170004598 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე** ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება"– ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „შესყიდვის ობიექტი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. „ტექნიკური დავალება" – **NAT170004598 ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე** სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია: **ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოსიაურში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა დანართი N1-ის, დანართი N2-ის და თანმდევი ნახაზების მიხედვით (CPV კოდი: 45200000);**
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი;
2.3. ტექნიკურ დავალებაში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 220 958.00 (ორასოცდათას ცხრაასორმოცდათვრამეტი ლარი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით;
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

4. მიწოდების პირობები და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ჩათვლით: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე;**
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.**

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელთან ერთად შემსყიდველს წარედგინება შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2), დადასტურებული შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ;

6.2. შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტსა და შესრულებული სამუშაოს აქტ ფორმა N2-თან ერთად წარედგინება შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები და ასფალტო-ბეტონის ლაბორატორიული დასკვნა;

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის (საბოლოო) გაფორმებამდე მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა წარმოადგინოს ასფალტო-ბეტონის ლაბორატორიული დასკვნა და შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

6.4. შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2), სამუშაოს დასრულების შემდგომ ექსპერტიზის დასკვნა, მიღება-ჩაბარების აქტი წარედგინება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ;

6.5. ფარული სამუშაოს შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ 6.1. პუნქტით გასაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის თანდასწრებით უნდა შედგეს შესაბამისი აქტი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სამუშაოს შესრულების ამსახველი ფოტომასალა, სადაც ასახული იქნება სამუშაოს ყველა ეტაპი (დაწყებამდე, მიმდინარეობის პროცესი, დასრულების შემდეგ).

6.6. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2017 წლის 22 ივნისის N105 ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

7. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

7.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.4. შესრულებული სამუშაოების გარანტიის ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. რა პერიოდშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის/ნაკლის აღმოჩენიდან არაუმეტეს 1 თვეში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიყენებული ზიანის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.5. საგარანტიო პერიოდში დეფექტის/ნაკლის შედეგად შემსყიდველსა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში, ეტაპობრივად, (დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტიდან 69.20%; ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30.80%), ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

8.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 80%-ის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ (მიღება-ჩაბარება, ფორმა N2, საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და ზედნადები) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება იმავე წესით, ასფალტო ბეტონის ლაბორატორიული დასკვნის და შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნის (აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს მიმწოდებელმა საკუთარი

ხარჯებით) წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

8.3. საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია ეტაპობრივი ანგარიშწორება (არაუმეტეს 4 ეტაპი) ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 20%-ისა და არაუმეტეს 80%-ის ოდენობით.

8.4. პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში მიმწოდებლს შესრულებული სამუშაოს ღირებულება აუნაზღაურდება მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ;

8.5. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

9.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

ბ) აანაზღაუროს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს შესყიდვის ობიექტების ჩამონათვალი, დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების ფარგლებში;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას შესასრულებელი სამუშაოების თანხობრივი გეგმა-გრაფიკი, რომელიც გაწერილი იქნება 15 დღიან პერიოდებზე, გეგმა–გრაფიკის ბოლო ეტაპი არ უნდა შეადგენდეს საერთო ღირებულების 10%–ზე მეტს;

ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაიწყოს სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშოების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

გ) ხელშეკრულების გაფორმებამდე შეისწავლოს ტექნიკურ დავალებებში მოცემული შესყიდვის ობიექტის აღწერა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. გამოვლენილი უზუსტობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის პრეტენზია არ განიხილება.

დ) სამუშაოს შესრულებისას, ნებისმიერი კომუნიკაციის დაზიანების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დაზიანების აღმოფხვრა;

ე) სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში წარმოადგინოს ფოტოილუსტრაცია კონკრეტულ მონაკვეთზე სამუშაოების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ;

ვ) სოფელ ქვემო ოსიაურში გზის მოასფალტების სამუშაოები შეასრულოს ამხანაგობა „განთიადი"-ს თავმჯდომარის ზოია გუროვის 2017 წლის 5 ივნისის მომართვაში გაწერილი ვალდებულებების შესაბამისად;

ზ) ფარული სამუშაოს შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ 6.1. პუნქტით გასაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის თანდასწრებით უნდა შედგეს შესაბამისი აქტი, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სამუშაოს შესრულების ამსახველი ფოტომასალა, სადაც ასახული იქნება სამუშაოს ყველა ეტაპი (დაწყებამდე, მიმდინარეობის პროცესი, დასრულების შემდეგ);

თ) მიწის სამუშაოების წარმოებისას საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ხაშურის ფილიალის, შპს „საქართველოს რკინიგზის", სს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ხაშურის სერვის ცენტრის, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"-ს და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-ქართლი"-ს პასუხისმგებელი წარმომადგენლების დასწრება;

ი) საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ასფალტო-ბეტონის ლაბორატორიული დასკვნა და შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიურო"-ს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას);

კ) სამუშაოების დასრულების შემდეგ თავისი ძალებით და სახსრებით ორი კვირის განმავლობაში გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

ლ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებელი სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

10.1. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ის (თეთრ სიაში დარეგისტირებული მიმწოდებლის შემთხვევაში 2%) ოდენობით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული

10.2. თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

10.4. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო მოსალოდნელი რისკის თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულების 10.1. პუნქტის შესაბამისად, ტენდერში გამოიყენება გარანტიის მექანიზმი – მიმწოდებლის მიერ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო გარანტია №069929, გაცემული 2017 წლის 20 ივნისს სადაზღვევო კომპანია „უნისონი"-ს მიერ თანხით 8 838.32 (რვაათას რვაასოცდათვრამეტი ლარი და 32 თეთრი) ლარი, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 20 ივნისიდან 2017 წლის 10 ოქტომბრამდე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

11.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

11.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

11.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

11.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად;

11.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით,

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.7. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11.8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.9. შემსყიდველი უფლებამოსილია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების 10 დღეზე მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში (გარდა გეგმა გრაფიკით გათვალისწინებული საბოლოო ეტაპისა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი (დარჩენილი) სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით. გეგმა-გრაფიკის ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.6. პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე);

11.10. ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტა იწვევს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები პასუხს აგებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტით დამდგარი შედეგისთვის.

11.11. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

12.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შეფერხების ფაქტის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი

უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
14.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
14.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
16.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;
16.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ან/და პირების დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
16.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
16.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. ქვეკონტრაქტორები

17.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვეკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). ქვეკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება შეთანხმების სახით, წერილობითი ფორმით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
17.2. მიმწოდებელმა მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები.
17.3. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

18. სხვა პირობები

18.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად (სამი „შემსყიდველს", ერთი „მიმწოდებელს"), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
18.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.
18.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.
18.7. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი _____ გიორგი ჯერასპაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ამხანაგობა „განთიადი"
ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,
დიღმის მასივი, VI კვ., III კორპ., ბინა N12;
სს „საქართველოს ბანკი", BAGAGE22;
ა/ა GE35BG0000000236783000; საიდენტიფიკაციო კოდი: N202477925.

ამხანაგობა „განთიადი"-ს თავმჯდომარე _____ ზოია გუროვი

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე

NAT170004598

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოსიაურში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტია: ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოსიაურში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა.
2. სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.
2.2. შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) შეიტანება მხოლოდ იმ სამუშაოების მოცულობები, რომელთა ხარისხიც აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.
2.3. შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირები ხელის მოწერით ადასტურებენ შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობას სატენდერო მოცულობებთან და ღირებულებებთან.
2.4. ობიექტზე სამუშაოების დამთავრება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე;
2.5. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესრულებულ სამუშაოებზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათის, მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ასფალტო-ბეტონის ლაბორატორიული დასკვნის და შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნის (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას) და ფინანსური დოკუმენტაციის (ფორმა N2, საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და ზედნადები, წერილობითი მოთხოვნა ანგარიშსწორებისათვის) წარმოდგენის შემთხვევაში.
2.6. პრეტენდენტი ვალდებულია ტენდერში მონაწილეობის მიღებამდე შეისწავლოს ტექნიკურ დავალებებში მოცემული შესყიდვის ობიექტის აღწერა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. გამოვლენილი უზუსტობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე პრეტენზია არ განიხილება.
2.7. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაიწყოს სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშოების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
2.8. სამუშაოს შესრულებისას, ნებისმიერი კომუნიკაციის დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დაზიანების აღმოფხვრა;
2.9. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ფოტოილუსტრაცია კონკრეტულ მონაკვეთზე სამუშაოების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ;
2.10. სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი თავისი ძალებით და სახსრებით ორი კვირის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.
2.11. ასფალტო-ბეტონის ნიმუშის აღების ან/და სამშენებლო მოედანზე ექსპერტიზის ჩატარების პროცესი უნდა მოხდეს შემსყიდველის წარმომადგენლის თანდასწრებით.
2.12 . მიმწოდებელი ვალდებულია მიწის სამუშაოების წარმოებისას საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ხაშურის ფილიალის, შპს „საქართველოს რკინიგზის", სს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ხაშურის სერვის ცენტრის; შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"-ს და შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-ქართლი"-ს პასუხისმგებელი წარმომადგენლების დასწრება;
2.13. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ასფალტო-ბეტონის ლაბორატორიული დასკვნა და შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის მიერ (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა

წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას).

2.14. საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია ეტაპობრივი ანგარიშსწორება (არაუმეტეს 4 ეტაპი) ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 20%-ისა და არაუმეტეს 80%-ის ოდენობით.

3. საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ჩათვლით: ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღე;

4. მიწოდების ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

5. შესრულებული სამუშაოების გარანტიის ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. რა პერიოდშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/წაკლის აღმოფხვრა, დეფექტის/წაკლის აღმოჩენიდან არაუმეტეს 1 თვეში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიყენებული ზიანის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. **პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში (2014 წლის 26 აპრილიდან 2015, 2016 წლების და მიმდინარე წლის 26 აპრილამდე) განხორციელებული უნდა ქონდეს მინიმუმ 1 500 000 ლარის ანალოგიური ხასიათის,** სირთულის და შინაარსის სამუშაოები და ამავე პერიოდში ერთი დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული უნდა ქონდეს არანაკლებ 300 000 ლარის სამუშაოები (საავტომობილო გზების მშენებლობა; ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია; ან/და რეაბილიტაცია), რაზეც უნდა წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია, (რეკომენდაციის მოთხოვნა არ ვრცელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, ასეთ შემთხვევაში სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას სამუშაოების შესრულების ხარისხისა და ვადების გათვალისწინებით), ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი N2-ის შესაბამისად. დანართი N2-ში მითითებულ თითოეულ სამუშაოზე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ნოტარიული წესით დამოწმებული);

7. პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, პრეტენდენტს საკუთრებაში, იჯარით, ქირით ან/და ლიზინგით უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

8.

N	დასახელება	რაოდენობა	განზომილება
1	ავტოგრეიდერი	1	ცალი
2	კომპრესორი	1	ცალი
3	სანგრევი ჩაქუჩი	2	ცალი
4	ასფალტდამგები	1	ცალი
5	ექსკავატორი	1	ცალი
6	სატკეპნი პნევმატური	1	ცალი
7	სატკეპნი ვიბრაციული	1	ცალი
8	საგზაო ფრეზი	1	ცალი
9	ავტოთვითმცლელი	2	ცალი
10	ელექტროვიბრატორი	2	ცალი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების, იჯარის, ქირის ან/და ლიზინგის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ტექნიკურ პასპორტთან ერთად) ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად. იჯარის უფლების დამადასტურებელი დოკუმეტის ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას.

9. **პრეტენდენტს საკუთრებაში ან იჯარით უნდა გააჩნდეს ასფალტო-ბეტონის ქარხანა ან/და წარმოადგინოს ასფალტო-ბეტონის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასფალტო-ბეტონის ქარხნის საკუთრების ან იჯარის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ასფალტო ბეტონის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად. იჯარის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ხელშეკრულების ვადა უნდა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადას.**

10. პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს არანაკლებ ორი თანამშრომელი, რომელსაც ექნება შესაბამისი სამუშაოების შესრულების გამოცდილება და კვალიფიკაცია, რაზეც უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია ელექტრონული სისტემის საშუალებით. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დანართი N2-ის შესაბამისად.

